სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

28 მარტი 2025

GOV N 432/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყის სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული სამეურნეო ჭრის შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის I, II ხარისხის ნაძვისა და სოჭის ჯიშის მრგვალი ხეტყის (მორის)–სულ - 49.74 მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N118) განმეორებით (2) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 თებერვლის დასკვნის N001002924, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხეტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების, და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2024 წლის 07 ოქტომბრის N19985 სამსახურებრივი ბარათისა და 17 ოქტომბრის N2935/ს შედეგის ბრძანების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N118 რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სამსახურის მართვას დაქვემდებარებული ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის სატყეოს კვ. N40 (ლიტ 14) ტყის სპეციალური სარგებლობის ფარგლებში განხორციელებული სამეურნეო ჭრის შედეგად დამზადებული 49,74 მ³ წიწვოვანი სახეობის (ნაძვი, სოჭი) I, II ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხეტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“_ს, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი. N34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო